N 3215/01
15/05/2023

3215-21-3-202305151124

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება
№01-051103

ქ. თბილისი
ერთი მხრივ, **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი უფროსის პირველი მოადგილეს **თეიმურაზ მთივლიშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „ზელმანი“ (ს/კ 404900327),** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ამირან ცხადაძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 „საქონელი“ - წინადებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი - შესყიდვის ობიექტი;
1.6 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი
2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: **„სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს ბალანსზე რიცხული UND 77 - დიზელის ძრავიან გენერატორისთვის ფასების ცხრილი - დანართი N1-ის შესაბამისად, გენერატორის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (CPV – 50532300)** სახელმწიფო შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **3751.00 (სამი ათას შვიდას ორმოცდათერთმეტი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2023 წლის საკუთარი სახსრები.**

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის ფაქტიურად მიწოდების შემდეგ, მხარეებს შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.

5.4 ინსპექტირებას „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს ***სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს II კატეგორიის წამყვანი სპეციალისტი - გიორგი ქოქიაშვილი***

6 საქონლის მიწოდების პირობები

6.1 მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულებაში მოცემულ ტექნიკურ მახასიათებლებს.

6.2 საქონლის მიწოდება და მომსახურეობის გაწევა უნდა განხორციელდეს **ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარულ დღეში.**

6.3 მიწოდებული საქონელი და გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი საქონლისა და მომსახურების დადგენილ სტანდარტებს და შემსყიდველის მოთხოვნებს. აღნიშნული მოთხოვნებიდან მიმწოდებლის მიერ ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია , არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

6.3 შეკეთებულ საქონელზე სწორი ექსპლუატაციის პირობებში გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **6 (ექვსი) თვე.**

6.4 თუ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში საქონლის ექსპლუატაციისას გამოვლინდება დეფექტი ან/და ნაკლი,მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს დეფექტის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით ან დაზიანებული საქონლის შეცვლა ახალი ექსპლუატაციაში არ მყოფი ანალოგიური საქონლით, ხოლო აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0,02% ოდენობით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი ბრალეულობით შემსყიდველისთვის მიყენებული მატერიალური და არა მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება.

6.6 საქონლის მიწოდება და მომსახურეობის გაწევა უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ***ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N150.***

6.7 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ახალი, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმოწერას და საქონლის მიღების დადასტურებას განახორციელებს ***სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი.***

8 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი ან/და ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.5. ზემოაღნიშნული პირგასამტეხლოების გადახდა მოხდება მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდით შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა **ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11 ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
11.1.1. ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება ურთიერთშეთანხმების გაფორმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესაძლებლობა, რომლის შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს მხარეს.
11.1.2. ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
11.1.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:
11.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება;
11.2.2. მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
11.2.3. შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.2.4. მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
11.2.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი. ასეთი შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება;
11.2.6. მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა და თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;
11.2.7. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განაზღვრულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს საქონლის მიწოდებას;
11.2.8. მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13 სადავო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16 შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17 გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18 დამატებითი პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი (დამოწმებული ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით) ორიგინალია. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

18.3 ***<u>ჩვენ ხელშეკრულებაზე ხელისმომწერნი და ვიზირების განმახორციელებელი პირები ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.</u>***

19 მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“

საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691

მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150

მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი: TRESGE22

ტელ: 243 95 45

მიმწოდებელი:

შპს "ზელმანი"

საიდენტიფიკაციო კოდი: 404900327
მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N29-31-33
ბანკის დასახელება: სს „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE74TB7857936080100002
ტელ. : 599726900

ელ ფოსტა: info@zelmani.ge

ამირან ცხადაძე

დირექტორი

Amiran Tskhadadze 18001054640

Digitally signed by Amiran Tskhadadze
Date: 2023.05.15 13:18:18

ფასების ცხრილი - დანართი N1

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეული	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)
1	გენერატორის ტექნიკური დათვალირება	1	ცალი	150.00	150.00
2	ძრავის ზეთი შეცვლით	14	ლიტრი	26.00	364.00
3	ზეთის ფილტრი შეცვლით	2	ცალი	220.00	440.00
4	ჰაერის ფილტრი შეცვლით	1	ცალი	270.00	270.00
5	საწვავის ფილტრი შეცვლით	1	ცალი	220.00	220.00
6	ანტიფრიზი(30°) დამატება/შეცვლა	12	ლიტრი	21.00	252.00
7	რადიატორის მონტაჟი-დემონტაჟი-გარეცხვაშეკეთება	1	ცალი	850.00	850.00
8	გაგრილების სისტემის გამორეცხვა	1	ცალი	250.00	250.00
9	ზეთის წნევის რეგულირება	1	ცალი	70.00	70.00
10	ზეთის წნევის სენსორის შეცვლა	1	ცალი	295.00	295.00
11	საწვავის პირველადი ტუმბოს შეცვლა კომპლექტში	1	ცალი	490.00	490.00
12	მცირე პროგრამირება	1	ცალი	100.00	100.00
				სულ ჯამი	3 751.00

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე